საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

2023 წელი

28.10.2024
www.geostat.ge

28.10.2024

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

(2023 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების[1] შემოსავლებმა 187.4 მლნ. ლარი შეადგინა. შემოსავლის უდიდეს ნაწილს საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (71.4 პროცენტი) შეადგენს, ხოლო 28.6 პროცენტი ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 73.6 პროცენტი ამანათების მიწოდებიდანაა მიღებული, რომლის 76.6 პროცენტი საერთაშორისო გზავნილებზე მოდის, 23.4 პროცენტი კი – ადგილობრივ გზავნილებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა:

დიაგრამა №1

ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2023 წელს



[1] სახლში საკვების მიწოდების მომსახურების გარეშე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016))

28.10.2024

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 16.1 პროცენტი წერილობით კორესპოდენციებზე მოდის, რომლის 57.8 პროცენტი საერთაშორისო, ხოლო 42.2 პროცენტი ადგილობრივი კორესპონდენციაა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას:

დიაგრამა №2

წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2023 წელს



საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2023 წლის განმავლობაში გაგზავნილია 5 677.8 ათასი წერილობითი კორესპონდენცია და 9 471.6 ათასი ამანათი.

2023 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3.7 ათასს შეადგენდა, მათ შორის 1 272 იყო კურიერი, ფოსტალიონი ან ფელდეგერი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge